განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
19.09.2019
დასკვნის წარდგენის თარიღი
26.09.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	მე-7 საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0114 განათლების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გოდერძი ბუჩაშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი,საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე კვირიკაშვილი, ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლელა იოსავა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლალი ჩირგაძე,თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამა „მულტილინგვური (მრავალენოვანი) განათლება“ მომზადდა TEMPUS-ის ერთობლივი პროექტის „DIMTEGU - მულტილინგვურ მასწავლებელთა მომზადების პროგრამების შექმნა და დანერგვა საქართველოსა და უკრაინის უნივერსიტეტებში“ ფარგლებში (პროექტის ნომერი 530360-TEMPUS-1-2012-1-GE-TEMPUS-JPCR). პროექტის ელექტრონული გვერდი www.dimtegu.tsu.ge
ამავე პროექტის ფარგლებში მომზადდა პროგრამის სასწავლო რესურსები და ითარგმნა სახელმძღვანელოები.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია დაწყებითი განათლების საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება, რომელიც ფლობს I - IV კლასების მშობლიური ენის (სომხური / აზერბაიჯანული) ქართულის, როგორც მეორე ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივ კომპეტენციებს, დამატებით V - VI კლასის ქართულის, როგორც მეორე ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და საზოგადოებრივ მეცნიერებათაგან ერთ-ერთი ან მაქსიმუმ ორი საგნის / საგნობრივი მიმართულების კომპეტენციას; კერძოდ, პროგრამის ამოცანაა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის / საგნის / საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება,
პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს:

საფაკულტეტო/მიმართულების დისციპლინები - 25 (ECTS)
პედაგოგიური სავალდებულო დისციპლინები - 60 (ECTS)
ქართულის, როგორც მეორე ენის ბლოკი / სავალდებულო /I-IVკლასები - 40 (ECTS)
მათემატიკის დისციპლინები / სავალდებულო /I-IVკლასები - 20 (ECTS)
ბუნებისმეტყველების დისციპლინები / სავალდებულო /I-IVკლასები - 20 (ECTS)
საზოგადოებრივი მეცნიერებების დისციპლინები / სავალდებულო /I-IVკლასები - 25 (ECTS)
ენობრივი (სომხური / აზერბაიჯანული) არჩევითი ბლოკები - 30 (ECTS)
V-VI კლასების არჩევითი საგნობრივი ბლოკები (ერთ-ერთი - ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - საგნობრივი დისციპლინის ბლოკის არჩევა სავალდებულოა) - 10 (ECTS)
პედაგოგიური პრაქტიკა - 30 (ECTS)
სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი (ECTS) - 30 (ECTS)
არჩევითი საგნები - 10 კრედიტი (ECTS)

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების 300 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით

აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 19 სექტემბერს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში, განხორციელდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, (პრორექტორი, დეკანი, ხარისხის სამსახურის უფროსი), ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტისა და უშუალოდ პროგრამის ადმინისტრაციის მიერ. დაწესებულების მხრიდან, გამოიხატა მზაობა არსებული მოსაზრებების გათვალისწინებისა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთ ჯგუფის შეფასებით და არსებულის წესის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდართებთან. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შესაბამისობაშია სტანდარტებთან.
პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას კრიტიკული შეუსაბამობა პროგრამასა და აკრედიტაციის სტანდარტებს შორის არ ფიქსირდება.

- **რეკომენდაციები**

  - მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გადაიხედოს უცხოენოვანი სავალდებულო ლიტერატურა სილაბუსებში და განისაზღვროს წინაპირობები ან უზრუნველყოფილ

იქნას ქართული თარგმანი და მისი არსებობის შესახებ ინფორმაცია მიეთითოს სილაბუსებში.

- მეტი გამჭვირვალობისთვის სასურველია პრაქტიკის დოკუმენტი მოიცავდეს სტუდენტების გადანაწილების მექანიზმებთან ერთად, პრაქტიკის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებსაც;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მესამე - ე.წ. პრაქტიკის შერეული მოდელის დანერგვა. მართალია პროგრამას აქვს ჩაშენებული პრაქტიკა, თუმცა რეკომენდებულია დაემატოს დამოუკიდებელი პრაქტიკის კომპონენტი და გაიზარდოს ჯამურად პრაქტიკის კრედიტები; პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პრაქტიკის ისეთი დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება, როგორც სტუდენტთა პრაქტიკის ადგილებზე გადანაწილების, ასევე პრაქტიკის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებს მექანიზმები.
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ცალკე არსებობდეს კურსი პირობითად „ შეფასების სისტემა დაწყებით საფეხურზე“ და ენობრივი შეფასების კურსი გადავიდეს ენის სწავლების ნებისმიერ სილაბუსში; ეს კურსი აუცილებლად უნდა მოიცავდეს განმავითარებელ და განსმსაზღვრელ შეფასებას და დიფერენცირებული მიდგომის საკითხებს; ბიბლიოთეკაში უზრუნველყოფილია ამ საკითხის შესაბამისი ლიტერატურა;
- მოდული „საქ.განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები“ სასურველია გადაიხედოს და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან;
- სასკოლო ეთიკის საგანი დაემატოს ცაკლე მოდულად, ხოლო კლასის მართვა, ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხები და ასევე გამჭოლი კომპეტენციები დაემატოს სასწავლო გეგმას სავალდებულო საგნებში;
- რეკომენდებულია ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესში შევიდეს ცვლილება სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით და მოვიდეს იგი საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის N3 ბრძანებასთან შესაბამისობაში.
- პროგრამის სილიაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის განხორციელების მისამართზე ან ელექტორნული ბიბლიოთეკის საშუალებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში ინფორმაციის ფლობის მიზნით სასურველია იყოს დაინტერესებული მხარეების უფრო მაღალი ჩართულობა;
  - პროგრამაზე დაშვების ყველა წინაპირობა აისახოს პროგრამაში გამოყოფილ წინაპირობების გრაფაში;
  - თვითმმართველობის როლის გაზრდა პროგრამის სტუდენტების ცხოვრებაში და სოციალიზაციის ამაღლებისათვის მათი ჩართვა სხვადასხვა კურიკულუმის გარე ატივობებში.
  - ცალკეულ სილაბუსებში კანონმდებლობასთან მოვიდეს შესაბამისობაში საკონსულტაციო საათების მითითების წესი;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „მულტილინგვური განათლება- დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის" მიზნები ნათლად არის ფორმულირებული და ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნების გააზრებულ ცოდნას და მოლოდინების კვლევის შედეგებს. როგორც პროგრამის მასალების, ისე ცალკეული ინტერვიუების საფუძველზე ცალსახაა, რომ პროგრამაზე მუშაობა მიმდინარეობდა თანმიმდევრულად, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით . პროგრამის მიზანსა და უნივერსიტეტის მისიას შორის შესაბამისობა გამოკვეთილია ცოდნის გენერირებისა და გავრცელების ასპექტში და ასევე ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის ჭრილში. ამასთან, პროგრამას დასახული მიზნების მისაღწევად გააჩნია ყველა საჭირო წინაპირობა, კერძოდ, გააზრებული კონცეფცია, რაც ასახულია პროგრამის აღწერილობასა და სილაბუსებში, ადექვატური ადამიანური რესურსი, რაც დასტურდება ჩართული პერსონალის კვალიფიკაციებით და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული აკადემიური პერსონალი ეყრდნობოდა ფრაიბურგის,ფრანკფურტის გოეთეს სახელობის, ლატვიის და ვილნიუსის უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამების გამოცდილებას. ამასთან, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, სწავლების და კვლევის გამოცდილება იძლევა პროგრამის მიზნების განხორიელების წინაპირობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების კითხვარი
- ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან
- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა
- პროგრამის მიზნების და შედეგების შესაბამისობის რუკა (დანართი 9)

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული სწავლის 10 შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე (დანართი 9). სწავლის შედეგები ითვალსიწინებს საჭირო ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, ასევე პასუხისმგებლობას და ავტონომიას, რომელსაც პროგრამა მეტწილად უვითარებს კურსდამთავრებულებს. ათივე შედეგი ფარავს მასწავლებლისთვის საჭირო ყველა კომპეტენციას. პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფს გათავისებული აქვს პროგრამის შეფასების მექანიზმისთვის სწავლის შედეგების გამოყენების აუცილებლობა. თვითშეფასების ანგარიშითაც და ინტერვიუებითაც დასტურდება, რომ პროგრამის ამოქმედების შემდეგ, ყოველი კურსის დასრულებისას, გაიზომება **სწავლის შედეგები,**. ხარვეზის შემთხვევაში კი, მოხდება პროგრამის გაუმჯობესება და განვითარება. მისანიჭებელი კვალიფიკაცია სწავლების საფეხურის და დარგის მოთხოვნების ადექვატურია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები (დანართი 1);
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პროგრამის გარე-შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები (დანართი 17)
- შრომის ბაზრის კვლევა (დანართი 10)
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (დანართი 9)
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა (დანართი 9);
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ვკითხულობთ: „საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე;
პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს თსუ სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად.
პროგრამაზე სწავლის უფლება ასევე შეუძლია მოიპოვოს თსუ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა ქართული ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის აღების შემთხვევაში.“ მიუხედავად ვრცლად ფორმულირებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა, კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დადგეს ის, თუ კონკრეტულად როგორი ენობრივი კომპეტენციის მქონე აბიტურიენტები უნდა მიიღოს პროგრამამ, იმის გათვალისწინებით, რომ სწავლების ენა არის ქართული. პროგრამის მიზნები რომ სრულად მიღწევადი იყოს, წინაპირობები საჭიროებს იმგვარად გამოკვეთას, რომ აბიტურიენტს დამატებითი კითხვები არ გაუჩნდეს და არ მოუხდეს ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა წყაროების მიხედვით.

პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის შემუშავებაში ჩართულ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად ცხადი გახდა, რომ მთავარი პრობლემა დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობს მულტილინგვური განათლების პროგრამაზე ჩასარიცხად სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ენობრივი კომპეტენციის ზღვარი. უნივერსიტეტი კი თავად ვერ ადგენს მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს და ალტერნატიულ გზად სთავაზობს ქართულ ენაზე მომზადების პროგრამას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების კითხვარი;
- პროგრამის აღწერილობა (დანართი 1);
- ინტერვიუები თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამაზე დაშვების ყველა შესაძლო წინაპირობა გათვალისწინებულ იქნას და აისახოს პროგრამაში გამოყოფილ წინაპირობების გრაფაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ - ს მულტილინგვური განათლების პროგრამის მოცულობა შეადგენს 300 კრედიტს, რომელთაგან 190 კრედიტი განაწილებულია ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივ და მეთოდურ მოდულზე. სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდული მოიცავს 60 (30/30) კრედიტის, 40 კრედიტი გადანაწილებულია არჩევით კონცენტრაციებზე, ხოლო 10 კრედიტი ეთმობა დამატებითი საგნობრივი ბლოკის არჩევას. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ითვალისწინებს დარგის თანამედროვე მიღწევებს და მომზადებულია TEMPUS-ის პროექტის **DIMTEGU** („მულტილინგვურ

მასწავლებელთა მომზადების პროგრამების შექმნა და დანერგვა საქართველოსა და უკრაინის უნივერსიტეტებში“) ფარგლებში. თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ და ინტერვიებიდანაც გამოირკვა, რომ პროგრამის დაგეგმვა და განვითარება მოხდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით. შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნება ექსპერტთა რეკომენდაციები, კერძოდ დაემატა სავალდებულო კურსები ფსიქოლოგიის და განათლების კვლევების მიმართულებით, ასევე გამოიკითხნენ მომიჯნავე პროგრამის ბაკალავრიატის სტუდენტები იმის თაობაზე, ისურვებდნენ თუ არა ისინი სწავლის გაგრძელებას ინტერგირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე. თუმცაღა იმავე თშა-ში არაფერია ნათქვამი დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესში სტუდენტთა მონაწილეობის შესახებ. სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ მათ ნამდვილად სურთ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება, მაგრამ ისინი პროგრამის შემუშავების პროცესში რაიმე ფორმით ჩართულნი არ ყოფილან.
DIMTEGU-ს ფარგლებში ასევე მომზადდა პროგრამის სასწავლო რესურსები და ითარგმნა სახელმძღვანელოები. პროგრამაში წარმოდგენილი საგნობრივი კურსების შინაარსი ძირითადად შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ მასწავლებლის პროფესიულ და საგნობრივ სტანდარტებთან და უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან (მასწავლებელის განათლება), თუმცაღა ზოგიერთ საგანს, მაგალითად, „სოციოკულტურული კომპეტენციები“, „აზერბაიჯანული ენა ქართულენოვანებისთვის“, „ბავშვთა მიმართ ძალადობა“, „აზერბაიჯანული ლიტერატურა 1“ სავალდებულო ლიტერატურა მითითებული აქვს რუსულ და ინგლისურ ენებზე (თარგმანის ან რიდერების მითითების გარეშე). ვინაიდან არც პროგრამის და არც კურსზე დაშვების წინაპირობებით რუსულის ან ინგლისური ენის ცოდნა განსაზღვრული არ არის, გაუგებარია, როგორ მიიღწევა სწავლის შედეგი.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია - განათლების მაგისტრი- სრულიად შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები (დანართი 1);
- პროგრამების დაგეგმვის,შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ (დანართი 8)
- კურიკულუმის რუკა
- შრომის ბაზრის კვლევა (დანართი 10)
- მემორანდუმები დამსაქმებლებთან (დანართი 11)

- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გადაიხედოს უცხოენოვანი სავალდებულო ლიტერატურა სილაბუსებში და იმ შემთხვევაში, თუკი წინაპირობაში არ არის მითითებული შესაბამისი უცხო ენის ცოდნა, ამოიღონ აღნიშნული ლიტერატურა, ან უზრუნველყონ ქართული თარგმანით; ამასთან, სილაბუსში ქართულ ენაზე მიეთითოს თარგმანის არსებობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ითვალისწინებს სასემინარო, კვლევით სამუშაოებს, სასკოლო პრაქტიკას და კვლევითი პროექტის მომზადებას, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს თითოეული საგანმანათლებლო დონის შესაბამისი სწავლის შედეგი აჩვენოს.

სასკოლო პრაქტიკა მოიცავს 30 კრედიტს და ხორციელდება 4 სემესტრის განმავლობაში (7-10 სემესტრი). სასკოლო პრაქტიკის ორგანიზებას ახორციელებს ფაკულტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის ხელმძღვანელი. შესაბამისი კათედრიდან გამოყოფილია დარგის კვალიფიციური სპეციალისტი სტუდენტის პრაქტიკის ხელმძღვანელად, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. ფაკულტეტის ადმინისტრაციას გაფორმებული აქვს 5 არაქართულენოვან სკოლასთან მემორანდუმები სტუდენტთა სასკოლო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად.

ინტერვიუებისას გამოირკვა, რომ პროგრამას გააჩნია პრაქტიკის დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილი იქნა ადგილზე ჩვენი მოკითხვის საფუძველზე. თუმცა, პრაქტიკის არსებული დოკუმენტით ვერ რეგულირდება სტუდენტების სკოლებში მასწავლებლებთან გადანაწილების საკითხი, სასკოლო პრაქტიკის მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი. აკადემიური პერსონალი და პროგრამის ხელმძღვანელი აღნიშნავენ, რომ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც ძირითადად მილევად რეჟიმში მყოფ საბაკალავრო პროგრამას ეფუძნება, გადაუჭრელ პრობლემად რჩება სტუდენტების გადანაწილების საკითხი და თვითონ სკოლებში ადგილობრივი პრაქტიკის ხელმძღვანელის გამოყოფის საკითხი. სწორედ ამ მიზნით, აუცილებელია ისეთი პრაქტიკის დოკუმენტი, რომელიც გამჭვირვალეს გახდის პრაქტიკის განხორციელებას და მართვას.

სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და კონფერენციებზე სტუდენტების მონაწილეობა წახალისებულია როგორც ფაკულტეტის, ისე ინდივიდუალური აკადემიური პერსონალის მიერ, თუმცა რაიმე სახის სტატისტიკური მონაცემების მოძიება სტუდენთა მონაწილეობის შესახებ ასეთ კვლევით პროექტებში ან სამეცნიერო კონფერენციებზე ვერ მოხერხდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის წესი“ https://tsu.ge/ge/faculties/social/fp6ifnwftxfvl8p_o/nf9xxyjizjl3qesu//
- ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი: https://www.tsu.ge/ge/faculties/psychology/aipqds45ftx01ir/
- თსუ-ს კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულება დამტკიცებული თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2015 წლის16 მარტის სხდომაზე (ოქმი N3); (დანართი 4)

- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- სასკოლო ეთიკის საგანი დაემატოს ცაკლე მოდულად, ხოლო კლასის მართვის, ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხები და ასევე გამჭოლი კომპეტენციები დაემატოს სასწავლო გეგმას სავალდებულო საგნებში;
- მეტი გამჭვირვალობისთვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პრაქტიკის დოკუმენტი მოიცავდეს სტუდენტების სკოლებში/მასწავლებლებთან გადანაწილების რომელიც მოიცავს სტუდენტების გადანაწილების მექანიზმს და პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოდული „საქ.განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები“ სასურველია გადაიხედოს და მოვიდეს შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კვლევითი, ისევე როგორც პრაქტიკის კომპონენტი, გამჭოლად გასდევდეს პროგრამას. მისი თანმიმდევრული განხორციელების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტებში კვლევითი და სამეცნიერო უნარების განვითარება, რაც პროგრამის დასკვნით ეტაპზე სამეცნიერო კვლევითი პროექტითა და ნაშრომით დადასტურდება.

წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს სასემინარო, კვლევით სამუშაოებს, სასკოლო პრაქტიკას და კვლევით პროექტებში ჩართვას, რაც უზრუნველყობს პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას. კურსის „კვლევის მეთოდები განათლებაში, პრაქტიკული კვლევები განათლებაში“, ფარგლებში ისწავლება არა მხოლოდ თეორიული კურსი. გარდა ამისა, რამდენიმე კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია კონკრეტული კვლევითი სამუშაოების განხორციელება (ბილინგვიზმისა და ბილინგვური განათლების საფუძვლები; მულტიკულტურული განათლება. მრავალფეროვნების მართვა კლასში დაწყებით სკოლაში). საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სასკოლო პრაქტიკას 30 კრედიტის მოცულობით. მართალია ცალკეული სასწავლო კურსი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, თუმცა არსებობს რისკი, რომ სტუდენტს არ მიეცეს პროგრამაზე სწავლის სხვდასხვა ეტაპზე მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების შეჯამების, გაანალიზების, თვითშეფასებისა და რეფლექსიის შესაძლებლობა. სასურველია დამოუკიდებელ და ჩაშენებულ პრაქტიკას მეტი დრო ეთმობოდეს. სასკოლო პრაქტიკის ორგანიზებას ახორციელებს ფაკულტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის თითოეული დარგობრივი ბლოკის მიხედვით - შესაბამისი კათედრის, ასევე - პროგრამის ხელმძღვანელი. შესაბამისი კათედრიდან გამოყოფილია დარგის კვალიფიციური სპეციალისტი სტუდენტის პრაქტიკის ხელმძღვანელად, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. ფაკულტეტის ადმინისტრაციას გაფორმებული აქვს 5 არაქართულენოვან სკოლასთან მემორანდუმები სტუდენტთა სასკოლო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად. პრაქტიკის დოკუმენტი არსებობს მაგრამ მეტი გამჭვირვალობისთვის სასურველია იგი მოიცავდეს სტუდენტების სკოლებში/მასწავლებლებთან გადანაწილების მექანიზმს და პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობა წახალისებული და გათვალისწინებულია სტიპენდიის გაცემის საფაკულტეტო წესში, სადაც აღნიშნულია, რომ სტიპენდიის მისანიჭებლად, აკადემიურ მოსწრებასთან ერთად ფასდება სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება და სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა. ფაკულტეტი და პროგრამის ხელმძღვანელი ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას სხვადასხვა კვლევით

პროექტებში და კლასგარეშე აქტივობებში; ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ხელს უწყობს ფაკულტეტზე სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. მათ შორის: სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების რეგულარულად ორგანიზება; სასწავლო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისთვის სტუდენტთა ინფორმირება და კონსულტირება, სტუდენტების ჩართვა სასწავლო ექსპედიციებში და სხვ. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სტუდენტთა სამეცნიერო წრე. სტუდენტს ასევე შესაძებლობა აქვს დაესწროს და/ან მონაწილეობა მიიღოს, თსუ-ს და ფაკულტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით ჩატარებულ საჯარო ლექციებს, სემინარებს, ტრენინგებსა და სხვადასხვა სახის სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში. თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტს წარმოადგენს თსუ–სა და მსოფლიოს სხვა უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო–კვლევით თუ საგანმანათლებლო ცენტრებს შორის მჭიდრო კონტაქტების დამყარება, რაც უმრავლეს შემთხვევაში, ერთობლივი პროექტებითა და სტუდენტების, ახალგაზრდა მეცნიერებისა და პროფესორ–მასწავლებლების გაცვლითი პროგრამებით ხორციელდება („ერაზმუს+“ ის ფარგლებში). ინფორმაცია გაცვლით პროგრამებზე სტუდენტთათვის რეგულარულად იდება თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ვებ–გვერდზე.

-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტებთან, პროფესორებთან გასაუბრების შედეგები.
- „საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის წესი“ https://tsu.ge/ge/faculties/social/fp6ifnwftxfvl8p_o/nf9xxyjizjl3qesu//
- ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი: https://www.tsu.ge/ge/faculties/psychology/aipqds45ftx01ir/
- ინფორმაცია ერაზმუს+ის შესახებ: https://www.tsu.ge/en/government/administration/departments/foreign_relations/int_relations/erasmus_plus_ka1//
- თსუ-ს კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულება დამტკიცებული თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2015 წლის16 მარტის სხდომაზე (ოქმი N3); (დანართი 4)
- პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები (დანართი 1)
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (დანართი 9)
- შრომის ბაზრის კვლევები და მონაცემები (დანართი 10)
- პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები (დანართი 11)
- პროგრამის გარე-შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები (დანართი 17)

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მესამე - ე.წ. პრაქტიკის შერეული მოდელის დანერგვა. მართალია პროგრამას აქვს ჩაშენებული პრაქტიკა, თუმცა რეკომენდებულია დაემატოს დამოუკიდებელი პრაქტიკის კომპონენტი და გაიზარდოს ჯამურად

პრაქტიკის კრედიტები; პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პრაქტიკის ისეთი დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება, როგორც სტუდენტთა პრაქტიკის ადგილებზე გადანაწილების, ასევე პრაქტიკის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებს მექანიზმები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. უნივერსიტეტში სწავლა-სწავლება ორიენტირებულია სტუდენტის ინდივიდუალურ გამოცდილებაზე, მისი თვისებებსა და ცოდნაზე. ეს მიდგომა, თავის მხრივ, დაფუძნებულია მოწინავე საგანმანათლებლო მიმდინარეობაზე - კონსტრუქტივიზმზე. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება მიიღწევა ინტერაქტიული სტრატეგიებით, სადაც სტუდენტი

სწავლების ცენტრში დგას, ამ პროცესის აქტიური მონაწილეა. პროგრამაში მე-7 სემესტრიდან ძლიერდება პრობლემასა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებს, რომ გამოიმუშაონ კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემულია სწავლა/სწავლების კონკრეტული მეთოდი/მეთოდები, რომლებიც შეესაბამება აღნიშნული სასწავლო კურსის მიზნებს და მისაღწევ (დაგეგმილ) სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები, თავის მხრივ, სრულ შესაბამისობაშია პროგრამით მისაღწევ შედეგებთან. ამდენად, სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული სწავლა/სწავლების მეთოდების ერთობლიობა ქმნის „მულტილინგვური განათლების“ ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სწავლა/სწავლების ერთიან მეთოდოლოგიას. პროგრამის სასწავლო კომპონენტში ჩართული სავალდებულო და არჩევითი კურსები, თავიანთი სპეციფიკიდან გამომდინარე, იყენებენ სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს. პროგრამა ისეა აგებული, რომ შერჩეული სწავლა/სწავლების მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი იყოს როგორც კონკრეტული სასწავლო კურსის, ისე პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევა, სტუდენტის მიერ შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავება, რომელთა დახმარებით კურსდამთავრებული შეძლებს როგორც შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებას, ისე დასაქმებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში (დანართი 9). პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებულ სწავლების მეთოდებს მიეკუთვნება: ლექციები, სემინარები აუდიო/ვიდეო მასალების გამოყენებით; მეცადინეობები კომპიუტერულ კლასში, ჯგუფში მუშაობა; საშინაო დავალებები და ქვიზები; პრეზენტაციები; დისკუსია/დებატები, როლური თამაშები, გონებრივი იერიში; დაკვირვება, კრიტიკული ანალიზის და სინთეზის მეთოდები. სწავლებისას გამოყენებული იქნება ელექტრონული სწავლების პლატფორმა ,,Moodle''. ინტერაქტიური და მოქნილი სწავლების პროცესის დაგეგმვისთვის და შეფასების სისტემის მეტი გამჭვირვალობისთვის, პროგრამაში ჩართული ლექტორების მიერ გამოიყენება თსუ–ს ელექტრონული სწავლების პორტალი (e-learning.tsu.ge). გამოიყენება დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელებში, რომელიც კომუნიკაციის ფუნქციის როლს ასრულებს (დახურული ჯგუფები აქტიურად გამოიყენება ამჟამად მულტილინგვური განათლების მილევადი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან მუშაობის პროცესში). პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული ზემოთ აღნიშნული მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები (დანართი 1)
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (დანართი 9)
- შრომის ბაზრის კვლევები და მონაცემები (დანართი 10)
- პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები (დანართი 11)
- პროგრამის გარე-შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები (დანართი 17)
- გასაუბრების შედეგები
- ელექტრონული სწავლების ფლატფორმა“ www.e-learning.tsu.ge

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

ტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენაღწერითიბმიმოხილვაის შეფასება

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, სასწავლო

კურსების შედგენის, მათი განახლების და გაუმჯობესების პროცესში პროგრამაში ჩართულ

პერსონალს აქვს შესაძლებლობა, სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, შეფასების მექანიზმებისა და მიდგომების შესახებ მიიღოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან კონსულტაციები და მხარდაჭერა.

სტუდენტთა შეფასება ეყრდნობა: სანდოობას, ვალიდურობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. სტუდენტთა შეფასების პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტის წესდებასთან. სტუდენტი ყოველ საგანში ფასდება ECTS–ის სისტემით (კრედიტის მინიჭების საფუძველზე), 100-ქულიანი სისტემით შეფასების მეთოდებით ადეკვატურად მოწმდება პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. შეფასებისას გამოყენებულია მრავალფეროვანი კომპონენტები. სტუდენტები ფასდებიან მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე. სამაგისტრო ნაშრომში კრედიტის მინიჭება ხორციელდება ნაშრომისადმი დადგენილი მოთხოვნებისა და პროცედურების შესრულების შემთხვევაში.

გათვალისწინებულია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის N3 ბრძანება, რომლის მიხედვით: საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ “საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. ფაკულტეტზე შემუშავებულია დოკუმენტი, რომელიც აღწერს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის, შეფასების პროცედურებსა და შეფასების ორ ეტაპიან კრიტერიუმებს. მაგ. 1. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით სამაგისტრო ნაშომი ფასდება რეცენზენტის მიერ მაქსიმუმ 60 ქულით - ნაშრომის ფორმალური მხარე მაქს. 10 ქულა, ნაშრომის შინაარსობრივი მხარე მაქს. 50 ქულა. 2. ნაშრომის წარდგენა (პრეზენტაცია) 60 ქულა.თუმცა, “საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების მუხლი 4 -ს შესაბამისად დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად

(დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები. რეკომენდებულია ფაკულტეტისუსამაგისტროულიამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულე სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით და მოვიდეს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

თსუ-ში მოქმედებს შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების აპელაციის მექანიზმი. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად (მუხლი 12) სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მიღებული შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები (დანართი 1);
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (დანართი 9) ;
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №153/2017 (დანართი 8).

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესში შევიდეს ცვლილება სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით და მოვიდეს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		☑		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტისას შემოწმდა მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნული პროგრამა სრულიად უნიკალურია და არ მოეძებნება ანალოგი საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ვიზიტის დროს ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა ამავე უნივერსიტეტის: მულტილინგვური განათლების (დაწყებითი განათლების საფეხური) საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს შევხვედროდით და მათთან გასაუბრების საფუძველზე გამოგვეტანა დასკვნები უნივერსიტეტის მხრიდან სტანდარტების დაკმაყოფილების ხარისხისთან დაკავშირებით. ვიზიტმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტში/ფაკულტეტზე ნამდვილად არსებობს სტუდენტზე ორიენტირებული გარემო. სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. ამას ცხადყოფს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და მათთან ინტერვიუს დროს გამოვლენილი ფაქტები უნივერსიტეტის პერსონალის მხრიდან დასაქმების ხელშეწყობასთან დაკავშირებით. დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა. სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის

პრატიკას ადასტურებს ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ისინი აღნიშნავენ, რომ მათ აქვთ წინასწარ გაწერილი ინდივიდუალური შეხვედრების განრიგი; ამასთან, დასტურდება ხშირი სატელეფონო თუ არაფორმალური კონტაქტი სტუდენტებსა და ლექტორებს შორის სხვადასხვა სოც.ქსელების საშუალებით, რაც აჩვენებს მჭიდრო და აქტიური კომუნიკაციის არსებობას სტუდენტებსა და ლექტორებს შორის;

უნივერსიტეტში მოქმედებს თავისუფალი არჩევითი საგნების სისტემა, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. ამასთან, თსუ–ში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (http://Ims.tsu.ge/), რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს თავიანთი „პროფილის“ მეშვეობით შეადგინონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სასწავლო კურსების წინაპირობების გათვალისწინებით, გაეცნონ მათ მიერ გავლილ სასწავლო კურსებში მიღებულ შეფასებებს და სხვ.

ფაკულტეტზე დამკვიდრებულია კონსულტაციების და ტუტორობის ონლაინ პრაქტიკა სოციალური ქსელების ე.წ. დახურულ ჯგუფებში. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დასტურდება, რომ ე.წ. ტუტორიუმის პროგრმის ფარგლებში ხორციელდება ენის მოსამზადებელი კურსი სტუდენტებისათვის, რომელიც მათ საწყის ეტაპზე ენობრივი ბარიერის გადალახვაში ეხმარებათ. ასევე, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ხორცილდება სტუდენტთა ორიენტაცია, სხვადასხვა ექსტრაკურიკულუმის აქტივობები, არაფორმალური სწავლებები, საერთაშორისო და ადგილობრივ კომფერენციებსა და ტენინგებში მონაწილეობა. ინტერვიუს დროს რამოდენიმე სტუდენტმა აღნიშნა, რომ ტუტორიუმის პროგრამის ფარგლებში აზერბაიჯანელი სტუდენტები სომეხ და ქართველ სტუდენტებთან ერთად ახორციელებდნენ პროექტებს, რამაც ხელი შეუწყო ინტეგრაციას და ცოდნის გაზიარებას სტუდენტებს შორის. მართალია, ტუტორიუმის პროგრამაში აქტიურად არიან სტუდენტები ჩართული, თუმცა ბუნდოვანია სტუდენტური თვითმმართველობის როლი სტუდენტების ცხოვრებაში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. იკვეთება ინტეგრირების ნაკლებობა სოციალურ აქტივობებში. შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა თვითმმართველობის მხრიდან კურიკულუმის გარეთ დაგეგმილ აქტივობებში პროგრამის მომავალი სტუდენტების ჩართულობის გაზრდაზე ზრუნვა. ადმინისტრაციის მხრიდან აღინიშნა რომ ამ მხრივ დაწყებულია მუშაობა და პროგრამის მომვალი სტუდნეტებისათვის იგეგმება წლიური აქტივობების წინასწარი გაწერა და ხელმძღვანელობა სასწავლო წლის განმავლობაში.

უნივერსიტეტში გამართულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სტუდენტს სრული წვდომა აქვს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებზე. თსუ-ს სტუდენტები სარგებლობენ ელ-ფოსტით, რომლის გააქტიურებითაც მათ შეუძლიათ უფასოდ ისარგებლონ ელექტრონული სამეცნიერო ბაზებით, როგორც უნივერსიტეტიდან ისე სახლიდან.

უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ მობილობით. სტუდენტები ადასტურებენ აღნიშნულ პროცესში ადმინისტრაციის ხელშეწყობას და პროცედურების გამჭვირვალობას. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები ცხადყოფს, რომ სტუდენტებს ეგზავნებათ კმაყოფილების კითხვარები ფაკულტეტის ადმინისტრაციისაგენ. კითხვარების შევსებისას მათი ანონიმურობა დაცულია და თამამად შეუძლიათ გამოხატონ უკმაყოფილება/კმაყოფილება რიგ საკითხებთან დაკავშირებით. ასევე, ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტთა რეკომენდაციებს პროგრამის განვითარების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა ○ მემორანდუმები/ხელშეკრულებები ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები (დანართი 3). ○ ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ თვითმმართველობის როლის გაზრდა პროგრამის სტუდენტების ცხოვრებაში და სოციალიზაციის ამაღლებისათვის მათი ჩართვა სხვადასხვა კურიკულუმის გარე ატივობებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

იქედან გამომდინარე, რომ მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალია და მას ჯერ კურსდამთავრებულები არ ჰყავს, ექსპერტთა ჯგუფს შეფასება მოუწია ამავე ფაკულტეტის მომიჯნავე საბაკალავრო პროგრამის მულტილინგვური განათლების (დაწყებითი განათლების საფეხური) პრაქტიკაზე დაყრდნობით.

პროგრამის სტუდენტს საშუალება აქვს, საკვლევი თემის შერჩევის პროცესში კონსულტაცია გაიაროს უნივერსიტეტის მაღალკვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებლებთან. ლექტორების კვალიფიციურობას ხაზს უსვამს ის ფატიც, რომ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები ძალიან კარგად მეტყველებენ ქართულ ენაზე, რაც პროგრამის დიდი მიღწევაა. პროგრამის სტუდენტს შეუძლია, საკვლევი თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელმძღვანელი აარჩიოს როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან, ასევე მოწვეული სპეციალისტი (შესაბამისი სასწავლო–სამეცნიერო ინსტუტუტის/დეპარტამენტის სხდომის გადაწყვეტილებით. სტუდენტთა საკონსულტაციო საათების განრიგი ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ ზუსტდება სემესტრის დაწყებამდე და ხელმისაწვდომი ხდება სტუდენტებისთვის. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება ანტიპლაგიატის პროგრამით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- პროგრამაში ჩართული პერსონალის მონაცემები (CV)
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

- ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი.

რეკომენდაციები:

○

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამას ემსახურება შესაბამისი კომპეტენციის მქონე აკადემიური პერსონალი. მათი კვალიფიკაცია დასტურდება პირადი საქმეებით და სასწავლო პროგრამასთან ადექვატური სამეცნიერო პუბლიკაციებით, პედაგოგიური სტაჟითა და კომპეტენციით პროგრამაში ჩართულია 19 (პროფესორი 3, ასოცირებული პროფესორი 13, ასისტენტ პროფესორი 3) აკადემიური, 1 მეცნიერი და 6 მოწვეული პერსონალი. სულ 26. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას.აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი არის (73%/27%), რაც ასევე პროგრამის მდგრადობის მყარი მაჩვენებელია. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. მისი კვალიფიკაცია პროგრამის მიმართულების შესაბამისია. 2011 წლიდან იგი ხელმძღვანელობს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, 2015 წლიდან ხელმძღვანელობს მულტილინგვური განათლების საბაკალავრო პროგრამას; იგი არის მრავალი სამეცნიერო სტატიის, 6 მონოგრაფიის, 40-ზე მეტი სახელმძღვანელოს ავტორი/თანაავტორი. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელი არის მთავარი რედაქტორი საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალისა „მულტილინგვური განათლება“, რომელშიც ქართველი და უცხოელი ავტორების სტატიები ქვეყნდება მულტილინგვური და მულტიკულტურული განათლების მიმართულებით.

პროგრამის სტუდენტები უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პერსონალის CV; ○ თვითსეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ;
რეკომენდაციები:
აღწერა და შეფასება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ყოველწლიურად მოწმდება როგორც ლექციების, პრაქტიკული/ლაბორა-ტორიული მეცადინეობების ხარისხი ასევე, მონიტორინგის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს პედაგოგიური ასპექტი, რაც მოიაზრებს ლექტორთა პედაგოგიური, პერსონალური, საკომუ-ნიკაციო და სოციალური უნარები და პროფესიონალური კომპეტენტურობას. ამასთან, უნივერსიტეტი ახორციელებს პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფის მონიტორინგს, რაც გულისხმობს პროგრამის ადამიანური რესურსის შემადგენლობისა და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს. თვითშეფასების პროცესში ხდება სტუდენტთა და პროგრამის განმახორციელებელთა აზრის შესწავლა და შედეგების ანალიზი.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებებით, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის CV, პირადი საქმეები;
- თვითსეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო მატერიალური და ტექნიკური რესურსით. უმეტესწილად ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა ცალკეული სასწავლო სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა თსუ -ს საფაკულტეტო ბიბლიოთეკაში ვერ იქნა მოძიებული; აღნიშნულზე წვდომა ვერც თსუ-ს ელ. ბიბლიოთეკით იქნა უზრუნველყოფილი. კერძოდ:

The Weley-Blackwell (2011), Handbook of Childhood Social Development, BlackwellPublising Ltd; chapter 27;

Christina Salmivalli, Kätlin Peets, and Ernest V. E. Hodges; ბულინგი (თარგმანი)

xudobina, 2005 - О.Ф. Худобина, ВЛИЯНИЕ БИЛИНГВАЛЬНОГО ОБРАЗОВАНИЯ НА РАЗВИТИЕ РАЗЛИЧНЫХ КОМПЕТЕНЦИЙ У СТУДЕНТОВ: ВЕСТНИК ВолГМУ (15); 2005.

ა.ჰაგისი. ტესტირება ენის მასწავლებელებისთვის თბილისი, საიმედო 2016)

თსუ-ს სტუდენტებს წვდომა აქვთ ელ. ბაზებში არსებულ უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაზე, პუბლიკაციებზე (Elsevier SCOPUS, Elsevier ScienceDirect, EBSCOHost, JSTOR), რომლებსაც აქტიურად იყენებენ დავალებების მომზადებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერება
- ელექტრონული წიგნები

○ თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები: ○ პროგრამის სილიაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის განხორციელების მისამართზე ან ელექტორნული ბიბლიოთეკის მეშვეობით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

აღწერა და შეფასება პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ყოველწლიურად საფაკულტეტო ბიუჯეტის შედგენა ხდება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო თანხების გათვალისწინებით. ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია: აკადემიური პერსონალის და სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები, წიგნადი ფონდის განახლების ხარჯი, გამომცემლობითი ხარჯები და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი (დანართი 14) ○ ინტერვიუ ფაკულტეტის დეკანთან პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ თვითსეფასების ანგარიში;

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზურნველყოფის პროცესები და პროცედურები ეფექტურად არის დაგეგმილი როგორც გამოყენებული რესურსების, ასევე დახარჯული დროის თვალსაზრისით.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები ექვემდებარება შემდეგ პრინციპს: "დაგეგმე - განახორციელე- შეამოწმე -განავითარე".

პროგრამის შემუშავების პროცესი და აღწერა. პროგრამის შემუშავების პროცესი ემყარება იმ ინფორმაციის კომპლექსურ ანალიზს, რომელიც ხელმისაწვდომია პროგრამის შემუშავების პერსონალისთვის. მათ მიერ ხორციელდება პროგრამის ანალიზი.

პროგრამის საჭიროება და მოთხოვნა: 1. პროგრამის შესაბამისობის დადგენა ფაკულტეტის პროფილთან და საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან, 2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაბამისობა სასწავლო კურსებისთვის აუცილებელ კომოპეტენციებთან; 3. ინტერნაციონალიზაცია - კურიკულუმების შესაბამისობა უცხოეთის უნივერსიტეტებში სამაგისტრო სწავლების დონეზე პროგრამებთან.

პროგრამის შეფასება ხორციელდება თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების მიხედვით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, დარგობრივი კომიტეტების, დამსაქმებლების და სტუდენტების მიერ. შეფასება ხორციელდება შემუშავებული და დამტკიცებული ფორმებისა და კრიტერიუმების მიხედვით. სილაბუსების შეფასება ხორციელდება შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმებით: მასში წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე, სასწავლო კურსის მიზნების მკაფიო ფორმულირება, კრედიტების რაოდენობისა და საათების შესაბამისობა, სასწავლო კურსზე დაშვების მკაფიო წინაპირობები, სასწავლო კურსის შინაარსის სისრულე და მისი შესაბამისობა კურსის მიზნებთან და შედეგებთან, სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა, სწავლა/სწავლების მეთოდების შესაბამისობა სასწავლო კურსის შედეგებთან, შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესთან, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის შესაბამისობა სასწავლო კურსის შედეგებთან და სხვა.

პროგრამის განხორციელების შეფასება. თსუ–ს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება მიმდინარეობს პირდაპირი და არაპირდაპირი ინდიკატორების გამოყენებით, მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

- პროგრამის განვითარება. პროგრამის განხორციელების ყოველწლიური შეფასების და მონიტორინგის შედეგად თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც წარედგინება პროგრამების ხელმძღვანელებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრების შედეგები
- თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №153/2017 (8 დეკემბერი, 2017) და მასში შემდგომ შეტანილი ცვლილებები
- თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, დადგენილება N113/2017 (დანართი 4);
- საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დანართი 17)

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის „მულტილინგვური განათლება“ გარე შეფასება განხორციელდა პროგრამა ტემპუსის პროექტის „მულტილინგვურ მასწავლებელთა მომზადების პროგრამების შექმნა და დანერგვა საქართველოსა და უკრაინის უნივერსიტეტებში“ ფარგლებში ექსპერტების: ოლივიე მენცის (ფრაიბურგის უნივერსიტეტი) და ზაქარია ფურცხვანაძის (გოეთეს სახ. ფრანკფურტის უნივერსიტეტი) მიერ. პროგრამის სიახლის გამო ამგვარი შეფასება ჩატარდა პირველად (დანართი 17)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები (დანართი 1)
- პროგრამის გარე-შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები (დანართი 17)
- პროექტ DIMTEGU-ს ვებგვერდი: http://dimtegu.tsu.ge/?lan=ge
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური პროგრამის მონიტორინგის სისტემა ეხმარება უნივერსიტეტს, შეინარჩუნოს განათლების შესაბამისი დონე და ფოკუსირდეს სპეციფიკურ კრიტერიუმზე, შეაგროვოს სანდო და ვალიდური მონაცემები, იყოს მონაცემებით მართული და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება პროგრამების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. პერიოდულ მონიტორინგს და შეფასებას ახდენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებენ: სტუდენტები, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები, ფაკულტეტის კურსდამთავრებულები და სხვა; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად პროგრამის ხარისხის მონიტორინგს, შეფასებასა და გაუმჯობას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი და თვითშეფასების ჯგუფი; პროგრამის ამოქმედების შემდეგ, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები, მომავალში სწავლების გაუმჯობესების ინდიკატორის როლს შეასრულებენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება #67/2018, 19 თებერვალი, 2018. ,,სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 9).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☑		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

გოდერძი ბუჩაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ეკატერინე კვირიკაშვილი

ლელა იოსავა



ლალი ჩირგაძე